სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(კონკურსი)
ხელშეკრულება №40

ქუთაისი

5 დეკემბერი 2013 წ

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია", (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ ლოსაბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი", (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი დირ: ნინო მუმლაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, № **1046** დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს,ერთი შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდება სხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 71242000- პროექტისა და გეგმის მომზადება ,ხარჯების გამოთვლა

3. ხელშეკრულების ღირებულება და ფასები

3.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს *750 (შვიდასორმოცდაათი)* ლარს.

3.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4. ანგარიშსწორებოს ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარისწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება–ჩაბარების აქტის შესაბამისად.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერის შემდგე *10 სამუშაო დღის* განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. სამუშაოების მიწოდების ადგილი და ვადა

6.171242000- პროექტისა და გეგმის მომზადება ,ხარჯების გამოთვლა *უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში ქ.ქუთაისში ზანკაფარიძის №61 –ში.*

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) სამუშაოების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების გათვალისწინებული ვადებით და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მიაწოდოს სამუშაოების სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში.

გ) უზრუნველყოს სამუშაოების მიწოდება ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნიკური პარამეტრების დადგენილი პრინციპების დაცვით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სტანდარტები

9.1. ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მიღებულ სტანდარტებს.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების *0.1%-ის* ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების *10 (ათი) პროცენტს*, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელის მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებემოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ ხუთი კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების განზრახვის თაობაზე.

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ანდა დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ***2013 წლის 31 დეკემბრამდე***

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“	შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“
დირექტორი: თინათინ ლოსაბერიძე	დირექტორი: ნინო მუმლაძე
ს/ს „საქართველოს ბანკი“	ს.ს. "პრივატ ბანკი"
მფო BAGAGE22	კოდი: CAVOGE22
ა/ნ GE28BG0000000153454500	ა/ნ GE39TP0036080020001909
ს/კ 212 682 051	ს/კ 412674921
მის: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქუჩა №61	მის: ქ.ქუთაისი თ.მეფის ქ№53